

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

თამაზ ბიბილურის რომანი „ჟამი კითხულისა“ მიხეილ ბახტინის
მეთოდოლოგიური პრინციპების ჭრილში

თამაზ შავიანიძე

tamta.shavianidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

თამაზ ბიბილური XX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მწერალი და დრამატურგია, რომლის შემოქმედება გამოირჩევა სათქმელის სიღრმით, წამოჭრილ პრობლემათა სიმწვავეთ, ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებითა და ინდივიდუალური ხელწერით. რომანი „ჟამი კითხულისა“ ღრმა ფილოსოფიური წიაღვლებით სავსე, მრავალპლანიანი ნაწარმოებია. სტატიაში რომანის მხატვრული ინტერპრეტაციის თავისებურებები გაანალიზებულია მიხეილ ბახტინის მეთოდოლოგიური პრინციპების დიალოგიური კრიტიკისა და კარნავალიზაციის ჭრილში. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექსტი მოიცავს მიხეილ ბახტინის მიერ ჩამოყალიბებულ ენობრივ ურთიერთობათა სამივე ფორმას, ავლენს კარნავალური ლიტერატურის ამბივალენტურ ბუნებას. ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს პოლიფონიური ენობრივი მოდელის კონცეფცია, სადაც მთავარი და მეორეხარისხოვანი „ხმები“, ერთმანეთს ავსებენ და საერთო მეთოდოლოგიურ კონცეპტს ქმნიან. „დიალოგიური კრიტიკისა“ და „კარნავალიზაციის“ საშუალებით გაცილებით უფრო მარტივად აღსაქმელი ხდება, რომანის მოქმედ გმირთა ინდივიდუალიზმი და მათი მოქმედების ძირითადი მოტივაცია. ჰეტეროგლოსია და ოპოზიციურ წყვილთა გამთლიანება ყველაზე თვალშისაცემი მახასიათებლებია რომანისთვის „ჟამი კითხულისა“.

საკვანძო სიტყვები: დიალოგიური კრიტიკა, კარნავალიზაცია, ჰეტეროგლოსია, სოციოლოგია, კულტურული დიალექტი.

თამაზ ბიბილური XX საუკუნის იმ მოღვაწეთა რიგს განეკუთვნება, ვის ნაწარმოებებშიც იკვეთება ახალი ლიტერატურული ტენდენციები და ცხოვრებისეული, მორალურ-ეთიკური, თუ სოციალური პრობლემები. რომანი „ჟამი კითხულისა“ ხაზს უსვამს ბიბილურის შემოქმედების ძირითად მახასიათებლებსა და ლიტერატურულ ღირსებას, რომელიც უფრო სიღრმისეულად იკვეთება მიხეილ ბახტინის

მეთოდოლოგიური პრინციპების ჭრილში. სტატის მიხანია რომანის ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა დიალოგიური კრიტიკისა და კარნავალიზაციის კუთხით.

რომანი კარგად აჩვენებს ადამიანთა მოდემისათვის დამახასიათებელ სისუსტეებს, ასახავს, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ერთი კაცის პატივმოყვარეობა, რამდენად ბოროტი შეიძლება იყოს ადამიანის გონება და სურვილები, რა მცირე მანძილი ადამიანობიდან ტირანობამდე. დიალოგიური კრიტიკა - დიალოგიზმი, როგორც მეთოდი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს რომანის ჟანრული თავისებურებების გაანალიზების პროცესში. ამიტომ, ლოგიკურია, რომ დღესდღეობით მ. ბახტინის თეორიული კონცეფცია ზოგადად მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის განსაკუთრებული ნაწილად მიიჩნევა.

ბახტინის განმარტებით, ყველა ურთიერთობა თავისი შინაარსით დიალოგიურია, ხოლო დიალოგი იმგვარი სასაუბრო მოდელია, რომელიც ორხმიანი სისტემის სახით ყალიბდება. ორხმიანობა - ჰეტეროგლოსია ბახტინისეული ტერმინია და სოციოლექტის მნიშვნელობით იხმარება. მხატვრულ ტექსტში ის სხვადასხვა ენობრივი მოდელის ერთობასთან ერთად, მათ მიზნობრივ კოორდინაციასაც გულისხმობს. რომანში ენობრივ ურთიერთობათა ფრომა სამი მიმართულებით რეალიზდება: 1. დიალოგები და მონოლოგები - შინაგანი მეტყველება; 2. სოციალური, პროფესიული და ჟანგონული სიტყვები და 3. კულტურული დიალექტები. შეიძლება სამივე მათგანი ერთდროულად ჰქონდეს გამოყენებული ავტორს ტექსტში, ან რომელიმე ერთს მიმართავდეს (Бахтин 1994: 53-172).

ბახტინის მოსაზრებების მიხედვით, დიალოგიზმი და ჰეტეროგლოსია, მიუხედავად მჭიდრო კავშირისა, როგორც ცნებები, ერთმანეთს ემიჯნება. დიალოგიზებული ჰეტეროგლოსიის დროს კი ბახტინი ორ ხმას გამოჰყოფს: ავტორი (წარმომდგენელი) და პერსონაჟი (წარმოდგენილი). მეცნიერი თვლიდა, რომ პერსონაჟები ენობრივ მოდელს განასახიერებენ და რომანის თითოეული მოქმედი გმირი ურთიერთმიმართებას დიალოგის სახით ამჟღავნებს. რომანში პერსონაჟთა ერთმანეთთან შეუწყობელ ხმათა სიმრავლე საფუძველს უქმნის პოლიფონიურობას.

თამაზ ბიბილურის რომანის „ჟამი კითხულისა“ სიღრმისეული გაანალიზების საშუალებას იძლევა მიხეილ ბახტინის მეთოდოლოგიური პრინციპები. დიალოგიური კრიტიკისა და კარნავალიზაციის კუთხით განსხვავებული, ინტერპრეტაციით წარმოჩნდება რომანის ძირითადი მახასიათებლები.

თ. შავიანიძე

აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული თხრობა და ავტორის მორალურ-ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობანი. შინაგანი მონოლოგებისა და დიალოგების საშუალებით პერსონაჟები რომანის ძირითად სათქმელსა და პრობლემატიკას იმდენად კარგად წარმოაჩენენ, რომ მკითხველისთვის ცხადი ხდება, მათ მიერ გადადგმული თოთოეული ნაბიჯის მნიშვნელობა, ადვილად ამოსაცნობია პერსონაჟთა ტკივილების გამომწვევი მიზეზები, რომლებიც არა ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნების ტრაგედიაა, არამედ მთელი მაშინდელი ეპოქის, ავტორის თანამედროვეობის უმძიმეს გამოვლინებას წარმოადგენს. ესაა გზააბნეულ ადამიანთა გაუცნობიერებელი ხმები, რომლებიც შინაგანი, გამოუვალი და, ხშირ შემთხვევაში, სასოწარკვეთამდე მისული კაცის გმინვას უფრო ჰგავს, გმინვას - უმომავლო და უპერსპექტივო საზოგადოებაში, რომელშიც არავის ესმის ერთმანეთის.

რომანში ექსპრესიული კულმინაცია მიიღწევა მოქმედ გმირთა შინაგან მონოლოგებში, როცა პერსონაჟები საკუთარ თავს უღრმავდებიან და პირადი აღიარებების საფუძველზე ამჟღავნებენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეცდომებს და ამ შეცდომების სიმწვავის ფონზე განაჩენიც გამოაქვს თავისთვის. ზოსიმე და კითხული ყველაზე კარგი გამომხატულებები არიან ამისა, განსაკუთრებით ზოსიმე. ის მუდმივად ცდილობს პირადი განცდები და შეხედულებები გააანალიზოს, ყველა ნაბიჯი აწონ-დაწონოს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს. მისთვის ღიაობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ზოსიმე თავისი მონოლოგებით იმ მცირე სოციალური ფენის წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც საზოგადოების ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებით ჩრდილში დგას, მაგრამ გადამწყვეტ დროს გადამწყვეტ ადგილას ჩნდება და სიტუაციას რადიკალურად აბრუნებს.

რომანში დიალოგის ფორმა მინიმუმამდეა დაყვანილი და სიუჟეტი შინაგანი მონოლოგების ფონზე ვითარდება. ზოსიმესაგან განსხვავებით კითხული გაცილებით უფრო ჩაკეტილია, მისი მონოლოგები ნაივურ ტექსტებს მოგვაგონებს. პერსონაჟი თითქოს სრულიად მოწყდა ავტორს და მან, როგორც რეალურად არსებულმა პიროვნებამ, დამოუკიდებლად შეისხა ხორცი, მოქმედების თვითმყოფადი გზა დაისახა. კითხულის მონოლოგები ორაზროვანი და წინააღმდეგობებით სავსეა, როცა კარგისა და ცუდის გარჩევა ჭირს, შიშები საღად აზროვნების საშუალებას არ იძლევა.

ზოსიმე და კითხული თავის თავში ჰეტეროგლოსიის ორ ურთიერთსაპირისპირომხარეს აერთიანებენ. ზოსიმე-ესაა ჰეტეროგლოსი, რომლის შინაგანი მრავალფეროვნება ბუნებიდან მომდინარეობს; კითხული კი - ჰეტეროგლოსი, რომელიც განვითარების კონკრეტულ ეტაპს აღწევს და წყვეტს მოქმედებას.

მართალია, ზემოთ ითქვა, რომ რომანში თითოეული ხმა სრულად იდივიდუალურია, მაგრამ გვხვდება ეპიზოდები, სადაც მკაფიოა ავტორისა და პერსონაჟის საერთო იდეოლოგიურ-არსობრივი ერთიანობა. პირველ რიგში, ეს ეხება ზოსიმესა და ავტორის ხმას, როცა ორივე, თითქოს, ერთნაირად სჯიან სიტუაციას და ცდილობენ მორალურ-ფილოსოფიური ხასიათის ჩანართებით გადაგვარებულ სოფელს გონების თვალი აუხილონ. თუმცა, საბოლოოდ მკითხველი ძალიან კარგად ხვდება, რომ ზოსიმესა და ავტორის ხმები მხოლოდ გარეგნული, როგორც შემფასებლური ჟღერადობა ხმისა, ისე ამჟღავნებს საერთო ნიუნსებს, შინაგანად კი ორ სხვადასხვა ენობრივ მოდელთან გვაქვს საქმე. თითოეულს საკუთარი დანიშნულება და ფუნქცია აკისრია.

რაც შეეხება, კითხულსა და ხეჩინას, მათი ხმები გაცილებით უფრო ერთგვარია, უფრო მეტიც, ერთიანად კი მოეჩვენება ზოგიერთ ეპიზოდში მკითხველს, არადა, სინამდვილეში ორივე სხვადასხვა, თავისთავადი პერსონაჟია. კითხული ტრაგიკული პიროვნებაა, ხეჩინა კი ხორცშესხმული ეშმაკი. მათ ერთადერთი რამ აახლოებს - სისასტიკე და შეუბრალებლობა. ხეჩინასა და კითხულის ენა გამოხატავს იმ სოციალურ-იდეოლოგიურ პოზიციებს, რომლებიც მაშინდელ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ გარემოს ახასიათებდა.

ტექსტში ყველასგან დამოუკიდებლად სოფლის ხმა - გმინვა გაისმის. ესაა გადაგვარებული, უკეთურების მორევში ჩაძირული ბრბოს კვნესა, რომელსაც არავისი ესმის და ვერც თავად აგებინებს ვინმეს სათქმელს. ეს ხმა - გოდება წითელი ხაზივით გასდევს მთელ რომანს. ამით კიდევ ერთხელ მკაფიოდ დასტურდება, რომ „ჟამი კითხულისა“, ბახტინის თეორიის მიხედვით, პოლიფონიური რომანის შესანიშნავი ნიმუშია.

ბიბლიურის პერსონაჟები არ არიან მწერლის კონტროლის ქვეშ, მათ პირადი მისია და დანიშნულება გააჩნიათ. რომანის დილოგური დისკურსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ერთ პიროვნებაში რამდენიმე სხვადასხვა ხმაც კი ჟღერს, პიროვნული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ისინი საკუთარი სიტყვით, ავტორის მსგავსად მეტყველებენ და არა მარტო გმირის, არამედ თავად მწერლის ხასიათის შეცნობაშიც გვეხმარებიან.

თ. შავიანიძე

ზოსიმეცა და კითხულიც სიკეთისა და ბოროტების საწყისებად გვევლინებიან, მათთვის არ არსებობს გარეშე შეზღუდვები და მკაცრი დოქტრინები. მხოლოდ ინდივიდუალური გზის კონცეპტი, საიდან გადახვევაც მათივე პრეროგატივაა და, ამ შემთხვევაში, თამაზ ბიბილურიც, მხოლოდ გარე დამკვირვებლის როლში გამოდის. სწორედ აქ ვლინდება ფსიქონალიტიკური შემოქმედებითობის ის პროცესი, როცა ავტორის შინაგანი ბუნება წარმოაჩნდება და უძლურია, რაიმე შეცვალოს.

მიუხედავად ასეთი დეტალების სიუხვისა, რომანში პერონაჟები მაინც ლიმიტირებული თავისუფლებით ხასიათდებიან, მხოლოდ იქამდე ამბობენ სათქმელს, სადამდეც ავტორს ჰქონდა განსაზღვრული. მათი თავისუფლების პერსპექტივა მხოლოდ მკითხველის გონებაში გადაიშლება, როცა აღარ გრძელდება თხრობა, მაგრამ დასასრული ისეთ ამბავს მოიცავს, რომ კიდევ ტოვებს საფიქრალს. პერსონაჟთა ფუნქცია მწერლმა თითქოს ამოწურა და მათი ხმების მიღმა სხვა ელემენტების ძიება უკვე მკითხველის საქმეა. ფინალში ავტორის, ნარატორისა და პერსონაჟის თხრობა ერთდება და ერთ მთავარ სათქმელთან მივდივართ. იკვრება საერთო სურათი რომანის ძირითადი იდეისა, რომელთან მოსასვლელად დანაწევრებულ, პოლიფონიურ ხმათა ნაკადი გახდა საჭირო. შეიძლება ითქვას, რომ ბახტინის თეორია ესაა განსხვავებულ, თვითმყოფად ხმათა ერთობლიობა, რომელიც საბოლოოდ მაინც ერთი შედეგისკენ მიისწრაფვის და „სამი ერთიანობის“ კანონთან სრულდება.

რომანში ექვსი ყველაზე მძლავრი და ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხმა ისმის. ესენია: მანგია ბალიაურისა და ზოსიმეს ხმები, რომლებიც ამავე დროს ავტორისეული ნიღბის მანიშნებელიცაა; კითხულის - გიორგი ბალიაურის, ხირჩალა- ხეჩინას, ბრბოსა (სოფლის გმინვა) და თავად ავტორის მსჯელობანი. მათგან, ერთი არ თრგუნავს მეორეს, პირიქით, საკუთარი ინდივიდუალიზმით ცდილობს განსაკუთრებული ხაზი განავითაროს ტექსტში. ისინი ერთსა და იმავე ამბავს ჰყვებიან, ოღონდაც, განსხვავებული სოციალური ინტონაციით. რომანის აღნიშნული შრეები დიალოგური კრიტიკის მოთოდოლოგიის მომველიებით უკეთ გამოიკვეთა, რამაც, ასევე, აჩვენა მწერლის ოსტატობისა და აზროვნების სიღრმე.

რომანში „ჟამი კითხულისა“ ოსტატურად ინტერპრეტირდება ბახტინისეული კარნავალიზაციის მხატვრული ასპექტები.

ბახტინის განმარტებით, კარნავალი ტექსტში სხვადასხვა სიუჟეტების მეშვეობით რეალიზდება. თავად კარნავალი აქტიური მოქმედებაა,

იგივე ცხოვრება, სადაც იშლება ზღვარი მკაცრად დიფერენცირებულ, იერარქიული წყობის ელემენტებს შორის. კარნავალი ესაა ამბივალენტური მოვლენა, რომელიც აერთიანებს დაპირისპირებულ მხარეებს, მითიურისა და რეალურის ფარგლებამდეც კი (Бахтин 1990: 217-305).

რომანში კარნავალური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები ვლინდება. 1. რიტუალური სანახაობის ინსცენირება; 2. კარნავალური სიტყვის ამბივალენტური სტრუქტურის რეალიზება; 3. თავისუფალი და ფამილარული ურთიერთობები; 4. ოპოზიციურ წყვილთა გამთლიანება და 4. სიკვდილისა და განახლების მოტივები.

ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია „მალა/დაბლა-ს“ მოდელი. რომანის ორი მთავარი პერსონაჟი ზუსტად ერგება კარნავალური ლიტერატურის აღნიშნულ ოპოზიციას. ზოსიმე განახლების და აღმასვლის ყველაზე მკაფიო მაგალითია ნაწარმოებში. მისი სახით, თავიდან უსუსური, სხვაზე დამოკიდებული საკუთარი აზრის არმქონე და მშიშარა ადამიანი ბოლოს მხსნელად და საკუთარ პრინციპებში დარწმუნებულ, შეუვალ პიროვნებად გვევლინება და სრულ კათარზისს განიცდის ფსკერიდან მწვერვალამდე. კითხულის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ის უკვე აღმასვლის აბსოლუტია. ადამიანი, რომელიც მწვერვალიდან დაეცა უკიდურეს წერტილამდე. ადამიანური ფასეულობებისგან დაცლილ ამ პერსონაჟს პიროვნულობა აქვს დაკარგული. სიკვდილისა და განახლების ეს დუალისტური მოტივები მთელი ნაწარმოებისთვის განსაკუთრებულად ნიშანდობლივია. სწორედ მათში მქდავენდება დიალოგური დისკურსის შიდაპიროვნებისეული მრავალფეროვნება. ერთ ადამიანში ორი სხვადასხვა ხმა იყრის თავს, სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში.

კარნავალიზაციის ამბივალენტური სტრუქტურა თითოეული პერსონაჟის ხმაში იკვეთება. ნაწარმოების დასაწყისში ნაწილი, მაგ. ზოსიმე და სოფელი, მისუსტებულად ამქდავენბენ საკუთარ გულისთქმას და მხოლოდ წამონაკვნესის დონეზე ისმის მათი ხმა; ნაწილი კი, მაგ. კითხული და ხირჩალა, მთელი ძალით გუგუნებენ, ყველას და ყველაფერს იმონებენ და საკუთარი ეგოს დაკმაყოფილებას ცდილობენ.

ეს უკანასკნელნი ფამილარული ურთიერთობების პირველწყაროდაც გვევლინებიან, გიორგი ბალიაური თავისი ამპარტავნებითა და ეგოიზმით უახლოეს მეგობართანაც კი წყვეტს თავისუფალი, ლალი კავშირის ჯაჭვს და მოჩვენებითი, საკუთარ თავთანაც პირფერული ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. მისი ეს გავლენა, როგორც კითხულის ავტორიტეტისა,

თ. შავიანიძე

იმდენად დიდია, რომ მთელ სოფელს გადაედება. არავინ ცდილობს ძველი დროის ერთობა შეინარჩუნოს და მხოლოდ შიშით ნასაზრდოები, ვითომ ერთგულებითა და თანაგრძნობით არსებობენ. ზოსიმე კი, ვისაც მარტოობა თრგუნავს და სასოწარკვეთაში აგდებს საკუთარ თავში პოულობს მეორე შანსს, ძალას იმისას, რომ ცხოვრება გააგრძელოს და სოფელს ახალი მხსნელი - კითხულის ვაჟი აღუზარდოს.

მართალია, რომანში კარნავალური ლიტერატურის ჭრილში ზუსტი ანალოგიით ვერ მოიძებნება რიტუალური სანახაობები და ინსცენირება, თუმცა, სოფლის თავშეყრის მომენტები, სწორედ, აღნიშნულის მიმსგავსებულ გამოხატულებად შეილძება ჩაითვალოს. ხირჩალას მიერ იმიტირებული სამსჯავროები კი „სანახაობად“. რომანში ეს ეპიზოდები ერთგვარი წარმოდგენის ფუნქციას ასრულებენ, წარმოდგენისა, როცა ერთი გაბატონებული მხარე მეორის დათრგუნვას ძალისა და შიშის დემონსტრირებით ცდილობს. საჯარო გასამართლებები ხალხის უპირობო მორჩილების მოპოვებისთვისაა გამიზნული. რომანის გმირები - კითხული და ხეჩინა ცხოვრების კარნავალიზებით ცდილობენ საზოგადოების საერთო სულისკვეთება და მისწრაფებები გააქრონ. სასამართლოდ ქცეული სოფლის შეკრებები ხდება სოფლისთვის მთავარი მოვლენა და მისით არსებობას იწყებს. კარნავალის ეს საწყისო ფორმები ერთგვარი ჩარჩო - შაბლონი ხდება ადამიანთა ყოფისათვის. ტექსტში თვალსაჩინოა ასეთი კომბინაციები: სოფლის თავშეყრა იგივე კარნავალი, კარნავალი - ცხოვრება.

რომაში, ასევე, მკაფიოდაა ნაჩვენები კარნავალიზაციის პროცესისას ინდივიდის სიკვდილის შემთხვევებიც. კითხულის სიკვდილი ასე პირდაპირ არ ხდება ნაწარმოებში, ის იგულისხმება. გიორგი ბალიაური თავისი ფეხით მიდის სიკვდილთან შესახვედრად და მკითხველი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ხვდება ბალიაურის ისტორიის დასასრულს. საყურადღებოა მამამისის მანგია ბალიაურის სიკვდილის ეპიზოდშიც, რომელმაც ბიძგი მისცა შემდგომში განვითარებულ ყველა მოვლენას და, საერთოდაც, მანგიას ხმა ის ერთადერთი გამონაკლისია, ყველაზე მკაფიოდ რომ ისმის ნაწარმოებში.

მანგია ბალიაური ცალკე მდგომი სიმაღლეა, ყველასა და ყველაფერს საკუთარი პიროვნებით განსაზღვრავს, ნებისთ თუ უნებლიეთ ყველას ცხოვრების იმპულსი და საფუძველი ხდება. მანგის ხმა სოფლის საუკუნო ტრადიციების ექოს გამოძახილია, ცალკე მდგომი, როგორც ხროვას

ჩამორჩენილი მგელი, მაგრამ ამავე დროს ყველაფერთან იმდენად მჭიდროდ გადაჯაჭვული, რომ გამოცალკევება რთულია.

რაც შეეხება ხეჩინას სიკვდილს, ეს უკანასკნელი ცხოვრებისეული ლოგიკიდან აბსოლუტულად ამოვარდნილი, მაგრამ რომანში განსახოვნებული რეალობის ყველაზე ლოგიკური მოვლენაა. ეშმაკეული სული ისევე გაქრა, როგორც გაჩნდა. ამით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ბოროტი ხმის მარადიულობას ამქვეყნად. მისი ეს მისტიკური გამოჩენა-გაუჩინარების კონცეპტი უკვე თავის თავში გულისხმობს ხელახალ გარდაუვალ გამოვლენას. რომანში კარნავალიზაციის პროცესის მსგავსი ნიუანსური დეტალები კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიბლიურის ორიგინალურ ხელწერას.

დიალოგური კრიტიკისა და კარნავალიზაციის ჭრილში რომანის გაანალიზების პროცესში განსხვავებული ინტერპრეტაციული კუთხით წარმოჩნდა ტექსტის მხატვრულ-შინაარსობრივი მხარე, უმთავრესი მახასიათებლები, გამოსახვის ორიგინალური ფორმები, პერსონაჟთა ხატვის მარკერები და სიმბოლურ-ალეგორიულ ასპექტები; შინაგანი მონოლოგებისა და ფრაგმენტული დიალოგების ახალი აზრობრივი კონტექსტი. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომებით განხილულ ტექსტში თვალნათლივ იკვეთება პოლიფონიური ენობრივი მოდელის კონცეფცია, რომელიც ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე წითელ ხაზად გასდევს; რომანის მთავარი და მეორეხარისხოვანი „ხმები“ ერთმანეთს ავსებენ და საერთო მეთოდოლოგიურ კონცეპტს ქმნიან; გაცილებით უფრო მარტივად აღსაქმელი ხდება, რომანში მოქმედ გმირთა ინდივიდუალიზმი და მათი მოქმედების ძირითადი მოტივაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე რომანის „ჟამი კითხულისა“ შესწავლამ არა მხოლოდ ტექსტის ცალკეული მხატვრული მარკერები გამოავლინა, არამედ მკაფიოდ აჩვენა თხზულების აზრობრივი შრეები და პოეტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა გათვალისწინება საგულისხმო იქნება XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზის განვითარებაში თამაზ ბიბლიურის როლის განსაზღვრისას.

თ. შავიანიძე

ლიტერატურა

- ბიბილური, თ. 1987: „ჟამი კითხულისა“. თბილისი: საბჭოთა საქართველოს გამომცემლობა.
- ბრეგაძე, ლ. 2008: „ფსიქონალიზი და მხატვრული შემოქმედება“. „ლიტერატურის თეორია XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი“. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- რატინი, ი. 2010: „მიხაილ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დიალოგური კრიტიკა“. „ტექსტი და ქრონოტოპი“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- უელეკი, რ. ო. უორენი, 2010: „ლიტერატურის თეორია“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Bakhtin, M.M. (1963) *Problems of Dostoevsky's Poetics*, (Russian) Moscow: Khudozhestvennaja literatura.https://monoskop.org/images/1/1d/Bakhtin_Mikhail_Problems_of_Dostoevskys_Poetics_1984.pdf
- Bakhtin, M.M. (1981) *The Dialogic Imagination: Four Essays by M.M. Bakhtin*. Ed. Michael Holquist. Trans. Caryl Emerson and Michael Holquist. Austin and London: University of Texas Press.http://www.europhd.net/sites/europhd/files/images/onda_2/07/27th_lab/scientific_materials/jesuino/bakhtin_1981.pdf
- Бахтин М. М.: 1994: „Проблемы поэтики Достоевского“. М.: „Алконост“.
- Бахтин М. М.: 1985: „Слово в Романе // М. М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики“.
- Бахтин М.М.: 1976: „Эстетика словесного творчества. М.: „Искусство“.
- Бахтин М.М.: 1990: „Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса“. М.: „Художественная литература“.

Literature and Literary Theory

Tamaz Bibiluri's novel "Time of Kitkhili" in the context of Mikhail Bakhtin's methodological principles

Tamta Shavianidze

tamta.shavianidze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Tamaz Bibiluri is a famous writer and playwright of the second half of the 20th century, whose works are distinguished by the depth of what is said, the severity of the problems raised, the variety of interpretations and individual handwriting. The novel "Time of Kitkhili" is a multifaceted work full of deep philosophical roots. In the article, the peculiarities of the artistic interpretation of the novel are analyzed in terms of dialogic criticism and carnivalization of Mikhail Bakhtin's methodological principles. As a result of the study, it was revealed that the text includes all three forms of language relations established by Mikhail Bakhtin, revealing the ambivalent nature of carnival literature. The concept of a polyphonic language model follows the work from beginning to end, where the main and secondary "voices" complement each other and create a common methodological concept. By means of "dialogic criticism" and "carnivalization", the individualism of the characters of the novel and the main motivation of their actions become much easier to understand. Heteroglossia and aligning the oppositional pairs are the most striking features of the novel "Time of Kitkhili".

Keywords: *dialogic criticism; carnivalization; heteroglossia; sociolect; cultural dialect.*

Tamaz Bibiluri is one of those figures of the 20th century, whose works reflect new literary trends and life, moral-ethical, and social problems. The novel "Time of Kitkhili" emphasizes the main characteristics and literary value of Bibiluri's work, which is more deeply apparent in the context of Mikhail Bakhtin's methodological principles. The aim of the article is to outline the main characteristics of the novel in terms of dialogic criticism and carnivalization.

Dialogic criticism or dialogism, as a method, plays a special role in the process of analyzing the novel's genre features. Therefore, it is logical that at present, the M. Bakhtin's theoretical concept is generally considered a special part of world literary studies.

თ. შავიანბიძე

According to Bakhtin's definition, all relationships are dialogic in their content, and dialogue is a conversational model that is formed as a double-voice system. The double-voicing or heteroglossia is a Bakhtinian term and is used in the sense of sociolect (social dialect). In the literary text, along with the unity of different language models, it implies their targeted coordination, while in the novel, the multitude of compatible voices of the characters creates the basis for polyphony.

The application of Mikhail Bakhtin's methodological principles enables an in-depth analysis of Tamaz Bibiluri's novel "Time of Kitkhili". In terms of dialogic criticism and carnivalization, the main characteristics of the novel appear with a different interpretation.

Taking this into account, there is first of all a distinction to be made between the individualized narrative of the characters and the moral-philosophical nature of the author. By means of internal monologues and dialogues, the characters present the main story and problems of the novel so well that it becomes clear to the reader, the importance of each step taken by them, the causes of pain of the characters can be easily recognized.

In the novel, the expressive culminating point is reached in the internal monologues of the characters, when they delve into themselves and, based on personal confessions, reveal their weaknesses and strengths, mistakes, and judge themselves by the weights of these mistakes. Zosime and Kitkhuli are the best expressions of this, especially Zosime. He constantly tries to analyze personal feelings and views, to weigh every step and make a decision.

Zosime and Kitkhuli combine the two opposite sides of heteroglossia. Zosime - this is a heteroglossist, whose inner variety comes from nature; Kitkhuli is a heteroglossist who reaches a particular development stage and terminates the activity.

It is true that it was said above that each voice in the novel is completely individual, but there are episodes where the overall ideological-essential unity of the author and the character is clear. First of all, it refers to the voice of Zosime and the author, when they both seem to judge the situation in the same way and try to talk some sense, using moral-philosophical elements, into the degraded village.

The biblical characters are not under the writer's control, they have a personal mission and purpose. The dialogic discourse of the novel is so diverse that even several different voices sound in one person, at different stages of personal

development. They speak in their own words, like the author, and help us to know not only the character of the hero, but also the character of the author himself.

The artistic aspects of Bakhtinian carnivalization are masterfully interpreted in the novel "Time of Kitkhili".

According to Bakhtin, the carnival is realized in the text through various stories. Carnival itself is an active action, the same as life, where the boundary between the elements of a strictly differentiated, hierarchical order breaks down (Бахтин 1990: 217-305).

The following features characteristic of carnival literature are revealed in the novel. 1. Staging of ritual performances; 2. Realization of the ambivalent structure of the carnival speech; 3. Free and familiar relations; 4. Alignment of oppositional couples and 5. The motifs of death and renewal.

One of the important lines of the text is a "high/low" model. The two main characters of the novel fit exactly into the aforementioned opposition of carnival literature. Zosime is a clearest example of renewal and ascension in the work. In his image, first there is seen a weak, dependent on others, helpless and cowardly person, who then appears as a savior and an invincible person confident in his principles and experiences a complete catharsis from the bottom to the top. In the case of Kitkhuli, the situation is different. It is already downhill absolute. A person who fell from the top to the extreme point. It is in them that the intra-personal diversity of dialogic discourse is revealed.

It is true that in the novel, in the context of carnival literature, ritual performances and staging cannot be found with an exact analogy, however, the moments of the village gathering can be considered as an expression similar to the mentioned. The courts imitated by Khirchala are "spectacular". In the novel, these episodes serve as a kind of representation, a representation where one dominant party tries to suppress the other one through a show of force and fear.

The novel also clearly shows cases of individual death during the carnivalization process. The death of Kitkhuli does not happen directly in the work, but it is implied. Giorgi Baliauri goes on his own foot to meet death and the reader meets the end of Baliauri's story without any hesitation.

In the process of analyzing the novel in terms of dialogic criticism and carnivalization, the artistic and content side of the text, the main characteristics, original forms of depiction, markers of character drawing and symbolic-allegorical aspects appeared from different interpretive positions; a new conceptual

თ. შავიანძე

context for internal monologues and fragmentary dialogues. The concept of the polyphonic language model is clearly visible in the text discussed with the mentioned methodological approaches, which traces the work as a red line from the beginning to the end; the main and secondary “voices” of the novel complement each other and create a common methodological concept; The individualism of the characters in the novel and the main motivation of their actions becomes much easier to understand. Based on the mentioned methodology, the study of the novel “Time of Kitkhili” not only revealed individual artistic markers of the text, but also clearly demonstrated the layers of thought and important aspects of poetics, which will be important to consider when determining the role of Tamaz Bibiluri in the development of Georgian prose of the second half of the 20th century.